პროფესიონალი

№72

PROFESIONALI

KOPOS ELECTRO LTD

www. kopos.ge

Tbilisi. 13 Kiziki Str. Office: +995 322 36 81 91

E-mail: info@kopos.ge

5 წელი ქართულ ბაზარზე!

„KOPOS ELECTRO“ გახლავთ ჩეხური კომპანა „OEZ”-ის ოფიციალური წარმომადგენელი ამიერკავკასიაში.

ბაზარზე 70 -წლიანი მუშაობის შედეგად კომპანია „OEZ”-ი, ავტომატური გამომრთველებისა და დამცავების მწარმოებლისაგან გადაიზარდა კომპლექსურ მომწოდებლად, პროდუქციისა და ელექტრონული ჯაჭვების, ასევე დაბალი ძაბვის აღჭურვილობის დარგში.

2007 წლიდან კომპანია „OEZ”-ი გახლავთ SIEMENS ჯგუფის წევრი.

კომპანია „KOPOS ELECTRO“ ამიერკავკასიაში, ელექტრო საინსტალაციო მასალების მწარმოებელ, ჩეხური ჰოლდინგის, „KOPOS KOLIN“ შვილობილ კომპანიას წარმოადგენს. „KOPOS ELECTRO“-ს ასევე გააჩნია წარმომადგენლობები სომხეთში, აზერბაიჯანსა და ყაზახეთში.

კომპანიის პროდუქციის პროგრამას წარმოადგენენ შემდეგი მასალები:

- სამოდულოხელსაწყო (სერია Minia);
- კომპაქტური ავტომატური გამომრთველები (სერია Modeon);
- დამცავი სისტემები (სერია Varius);
- გამანაწილებელი ფარები და კარადები (სერია Distri);
- საკომუტაციო და მმართველი ხელსაწყოები (სერია Conteo.)

კომპანია „OEZ”-ის პროდუქტი წარმატებით გამოიყენება ენერგეტიკის სფეროში, ინფრასტრუქტურაში, მრეწველობასა და მშენებლობაში.

KOPOS

www. kopos.ge

E-mail: info@kopos.ge

თბილისი, ქიზიყის ქუჩა №13, ოფისი: +995 322 36 81 91

პროფესიონალი+

www.prof-news.com

მთ.რედაქტორი:
ელა დუდაევი

სარედაქციო კოლეგია

მისამართი:
თბილისი, ჰ. ინგოროყვას №6
ტელ.: 299-82-60

E-mail:profesionali@mail.ru

ჟურნალი მოქმედებს თავისუფალი პრესის პრინციპით. ავტორი თავად აგებს პასუხს მასალაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე. რედაქცია ყოველთვის არ იზიარებს ჟურნალისტის პოზიციებს და ამავე დროს, არ გამოხატავს, არცერთი პარტიისა თუ პოლიტიკური დაჯგუფების ინტერესებს.

30.04.15.-30.05.15 ფასი 2 ლარი

უმორჩილესად გთხოვთ ჩვენი ჟურნალის წარმომადგენლებს მოსთხოვოთ სათანადო მოწმობა

პარლამენტის პლენარული სხდომა

პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, კენჭისყრის პროცესის დაწყებამდე, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი, პრეზიდენტის დღევანდელ განცხადებას გამოეხმაურა:

„საქართველოს პრეზიდენტმა გადაწყვიტა, გამოიყენოს მისი კონსტიტუციური უფლება და ამ საკითხზე ისარგებლოს იმ ვადით, რასაც მას კონსტიტუცია ანიჭებს. კერძოდ, მას შემდეგ, რაც პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით დანიშნული არიან ახალი მინისტრები, ამ დღიდან, ამ მომენტიდან საქართველოს პრეზიდენტს აქვს შვიდდღიანი ვადა იმისათვის, რომ მთავრობის განახლებული შემადგენლობა წარმოადგინოს პარლამენტში განსახილველად. დღეს ამ ვადის დინება დაიწყო“,- განაცხადა დავით უსუფაშვილმა. მისივე თქმით, პარლამენტი დაგეგმილი გრაფიკით გააგრძელებს მუშაობას. „რაც შეეხება მთავრობის შემადგენლობის და პროგრამის განხილვას, ამაზე ჩვენ, როგორც ჩანს, მუშაობა მოგვიწევს მომავალი კვირის განმავლობაში. შეგახსენებთ, რომ ჩვენც, პარლამენტს გვაქვს შვიდდღიანი ვადა იმ დღიდან , როდესაც პარლამენტში შემოვა მთავრობის განახლებული შემადგენლობის და მისი პროგრამის თაობაზე დოკუმენტი. კიდევ ერთხელ ყველას მივმართავ, ვინც ზოგჯერ არასწორ ინფორმაციას ავრცელებს. მთავრობა არის სრულად უფლებამოსილი, სრულად კომპეტენტური და აგრძელებს მუშაობას“, - აღნიშნა დავით უსუფაშვილმა.

პარლამენტის თავმჯდომარე პლენარულ სხდომაზე სტუმარს - ევროპის პარლამენტის წევრს, ევროპის პარლამენტში საქართველოზე მომხსენებელს, ანდრეს მამიკინსს მიესალმა.

დეპუტატებმა კენჭი უყარეს მიმდინარე კვირის განმავლობაში პარლამენტის მიერ განხილულ საკითხებს. მესამე მოსმენით განიხილეს საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ", რომლითაც იცვლება საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი ფიზიკურ პირზე საცხოვრებელი ფართის საცხოვრებელი მიზნით გაქირავების შემთხვევაში და მასზე გავრცელდება 5%-იანი განაკვეთი , 20%-ის ნაცვლად. 5%-ით დაიბეგრება ასევე ფიზიკური პირის მიერ საცხოვრებელი ბინის (სახლის) და მასზე დამაგრებული მიწის, აგრეთვე ავტოსატრანსპორტო საშუალების მიწოდების შედეგად მიღებული ნამატი შემოსავალი. კანონპროექტი განსხვავებულად არეგულირებს დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებული პირებისა და ასეთად არარეგისტრირებულებისათვის დღგ-ს ჩათვლის საკითხს უკუდაბეგვრისა და საქონლის დროებით შემოტანისას. გადასახადის დადგენილ ვადაში გადაუხდელობისათვის არსებული საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე განისაზღვრება 0.05%-ით, ნაცვლად 0.06-ისა. ახლებურად ყალიბდება ზედმეტად გადახდილი გადასახადის ან/და სანქციის თანხების დაბრუნების წესი. გარდა ამისა, გარდამავალი დებულებით რეგულირდება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე 2015 წლის 1 აპრილამდე შემოყვანილი მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მფლობელი პირების კანონის შესაბამისი მოთხოვნების დარღვევისას საგადასახადო პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საკითხი.

სხდომაზე განიხილეს ასევე „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტი.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის, ნათია მიქელაძის განმარტებით, იზრდება საქართველოს ვიზის გაცემაზე უფლებამოსილი ორგანოების ჩამონათვალი და მათ ემატება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. „კანონპროექტით გათვალისწინებულია საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ელექტრონული ვიზების გაცემის შესაძლებლობაც და განისაზღვრება შესაბამისი რეგულაციები. ახლებურად ყალიბდება საქართველოს ვიზის დეფინიცია და განიმარტება, როგორც ნებართვა სამგზავრო დოკუმენტში და არა აღნიშვნა. მოწვევაზე უფლებამოსილ პირად განისაზღვრება ასევე უცხო სახელმწიფოს და სხვა ორგანიზაციის წერილობითი შუამდგომლობები. ბინადრობის ნებართვის სახეებს ემატება ახალი - მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა“, - განაცხადა ნათია მიქელაძემ. მისივე თქმით, ცვლილება შეეხება საქართველოს ვიზის კატეგორიებსაც. კანონპროექტი აგრეთვე ითვალისწინებს ვიზების მოქმედების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებულ და სხვა საკითხებს.

დეპუტატებმა პირველი მოსმენით განიხილეს „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“პროექტი და გამომდინარე კანონპროექტთა პაკეტი. იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის, ალექსანდრე ბარამიძის განმარტებით, კანონპროექტი აწესრიგებს არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციულ სამართლებრივი პასუხისმგებლობის, აგრეთვე მათი მონაწილეობით აღნიშნული პროცესების წარმოების თავისებურებებს, სასჯელისა და სხვა ზომების აღსრულების სპეციალურ წესებს. კანონპროექტით დგინდება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების და ინდივიდუალური მიდგომის სავალდებულობა.“ განისაზღვრება როგორც ბრალდებული, ასევე მოწმე და დაზარალებული არასრულწლოვანის მიმართ სისხლის სამართალწარმოებასა და ადმინისტრაციულ

სამართალწარმოებაში მონაწილე სუბიექტების მოვალეობები და კომპეტენცია. აქვე დგინდება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განმახორციელებელი პირების სპეციალიზაციის ზოგადი საკითხები. კანონპროექტით გათვალისწინებულია მთელი რიგი პროცესუალური საკითხები არასრულწლოვნებთან მიმართებით, მათ შორის, ნასამართლობის მოხსნასთან დაკავშირებული ლიბერალური მიდგომები მოქმედ რეგულაციებთან შედარებით",- განაცხადა ალექსანდრე ბარამიძემ. მისივე თქმით, პოლიცია პრევენციული და სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებების განხორციელებისას გაითვალისწინებს არასრულწლოვანთა განსაკუთრებულ თავისებურებებსა და საუკეთესო ინტერესებს. ახლებურად ყალიბდება ტერმინი მინდობით აღზრდა და იგი გულისხმობს აგრეთვე 18 წლამდე ან 18-დან 21 წლამდე ასაკის განრიდებას დაქვემდებარებული პირის მოვლასა და აღზრდას. შესაბამისად იცვლება მინდობით აღსაზრდელის ტერმინიც. ამასთან, განრიდების ღონისძიების სახით, მინდობით აღსაზრდელად განთავსების წესი და პროცედურები განისაზღვრება იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

ალექსანდრე ბარამიძის განცხადებით, ეს არის სრულიად

ახალი ტიპის კანონმდებლობა, რომლითაც საქართველო გაუტოლდება მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში ყველა იმ საუკეთესო სტანდარტის დამკვიდრების კუთხით, რომელსაც განამტკიცებს საერთაშორისო სამართლებრივი აქტები ამ სფეროში. იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის, ვახტანგ ხმალაძის შეფასებით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი არის სრულიად ახალი სიტყვა საქართველოს მართლმსაჯულებისთვის, საქართველოს სამართლებრივი სისტემისთვის.

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის სხდომა

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის სხდომაზე 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 3 თვის შესრულების ანგარიში მოისმინეს. ინფორმაცია კომიტეტის წევრებს ფინანსთა მინისტრის მოადგილემ, გიორგი კაკაურიძემ გააცნო. მისი განცხადებით, 2015 წლის საანგარიშო პერიოდში მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო ზრდამ 3.2% შეადგინა, 104.7%-ით შესრულდა ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი და ასევე გადაჭარბებით, 130.5%-ით შესრულდა გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელიც.

მინისტრის მოადგილემ იანვარ-მარტში დაფიქსირებულ სამომხმარებლო ფასების ზრდასა და საგარეო სავაჭრო ბრუნვის შემცირების პარამეტრებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით სამომხმარებლო ფასები 2.6 %-ით გაიზარდა, ხოლო საგარეო ბრუნვა 10%-ით შემცირდა. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად საგარეო სავაჭრო ბრუნვის შემცირებისა, 21.1 %-ით გაიზარდა ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებთან, ხოლო დსთ-ს ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობები 55% შემცირდა.

გიორგი კაკაურიძემ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების მაჩვენებლებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ყველა პარამეტრი, კერძოდ კი, შემოსავლები, გადასახადები, გრანტები და სხვა შემოსავლები დაგეგმილზე ბევრად გადაჭარბებით იქნა შესრულებული. მინისტრის მოადგილემ ცალკე ინფორმაცია თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების გეგმის შესრულებაზე წარმოადგინა და აღნიშნა, რომ ორივე ძალოვან უწყებაში შესრულების მაჩვენებელი 95%-მდე განისაზღვრა.

ბოლო წლებია, სოფლის მეურნეობა ქვეყნის მთავრობის რეალური პრიორიტეტი გახდა. თითქმის განადგურებული დარგის ფეხზე დასაყენებლად და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის დასახმარებლად, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, არაერთი, მართლაც რომ უპრეცედენტო, პროექტი განახორციელა. დღეისათვის, დარგის განვითარების სტრატეგიული ხედვა, ითვალისწინებს ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც ხელს უწყობს პროდუქციის წარმოების სტაბილურ ზრდას, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას, სურსათის უვნებლობასა და სოფლად სიღარიბის დაძლევას. დადებითი შედეგის მიღწევის უპირველეს გარანტიას კი, მკაფიოდ განსაზღვრული აგრარული პოლიტიკის შემუშავება და ეკონომიკის ამ სექტორში ფინანსური რესურსების მოზიდვის ხელშეწყობა წარმოადგენს. ამ ყველაფრის განსახორციელებლად განსაზღვრულია რამოდენიმე სტრატეგიული მიმართულება და შესაბამისი ღონისძიებები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების ეკონომიკურ განვითარებას, საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების ეფექტიან ფუნქციონირებას და საბაზრო ურთიერთობების მოთხოვნების შესაბამისად ფერმერთა გადამზადებას. საზოგადოებამ რეალურად დაინახა სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ქართული სოფლის გაძლიერებისა და განვითარების მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები. ეს იმის მანიშნებელია, რომ სამინისტროს გუნდი სწორი გზით მიდის და ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ძალიან წარმატებული მინისტრის, ბატონ **ოთარ დანელიას** ხელმძღვანელობით კვლავაც გააგრძელებს მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებას...

„დანერგე მომავალი“

– ბატონო ოთარ, პროექტის „დანერგე მომავალი“ შესახებ მოგვიყევით...

– მინდა აღვნიშნო, რომ „დანერგე მომავალი“ არის თანამედროვე პროექტი, რომლის განხორციელებისთვის ორი წლის განმავლობაში 15 მილიონი ლარი დაიხარჯება, ხოლო სულ რაღაც სამიოდე წელიწადში თვალსაჩინო შედეგი დაგვიდგება. პროექტის მიზანი გახლავთ, მრავალწლოვანი ბაღების გაშენებისა და სანერგე მეურნეობის მოწყობის გზით საქართველოს რეგიონულ მუნიციპალიტეტებში სასოფლო-სამეურნეო მიწების მიზნობრივი გამოყენების ზრდის მაქსიმალური ხელშეწყობა. პროექტის ფარგლებში სახელმწიფო თანადაფინანსების მოცულობა შეადგენს: ბაღის გაშენების შემთხვევაში - ნერგების ღირებულების 70%-ს და წვეთოვანი სარწყავი სისტემის ღირებულების 50%-ს, ხოლო სანერგე მეურნეობის შემთხვევაში - მეურნეობის შექმნის ღირებულების 50 %-ს. გარდა ამისა, ნიშანდობლივია, რომ ბაღის გაშენების ან სანერგე მეურნეობის მოწყობის სრულად დაფინანსების მიზნით, სახელმწიფო თანადაფინანსებასთან ერთად, ბენეფიციარს შეუძლია ისარგებლოს შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამით და სხვადასხვა დამატებით სარგებელით. ეჭვგარეშეა, რომ „დანერგე მომავალის“ განხორციელების შედეგად, მეწარმეები და ფერმერები შეძლებენ აწარმოონ მაღალი ხარისხის პროდუქტი, რომელიც ადგილობრივ ბაზარზე იმპორტირებულ პროდუქციას გაუწევს კონკურენციას და ამავე დროს, გაიზრდება ქვეყნის აგრარული პროდუქციის საექსპორტო პოტენციალი. ვფიქრობ, რომ ცოტა მონდომება და მინიმალური რესურსია საჭირო, რათა მომავლის საქართველოში, მომავლის ბაღები გავაშენოთ.

— სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სხვა წარმატებულ პროექტებსაც ჩაუყარა საფუძველი...

— აგროწარმოების განვითარების მიზნით, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, არაერთი პროექტი ხორციელდება. მათ შორის — შეღავათიანი აგროკრედიტის და გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტები, - რომელთა ფარგლებშიც, დაპირებული 105-ის ნაცვლად,

უკვე დაფინანსებულია 119 ახალი საწარმო. ჯამში, განხორციელებული ინვესტიცია 100 მილიონ 800 ათას აშშ დოლარს, ხოლო ახალი სამუშაო ადგილების რაოდენობა, დაახლოებით, 3700-ს შეადგენს. გაფართოვდა 600-ზე მეტი საწარმო და საერთო ჯამში შექმნილია 10 ათასამდე სამუშაო ადგილი. მინდა აღვნიშნო, რომ თითოეული დასაქმებული ადამიანი ჩვენთვის ძალზედ მნიშვნელოვანია. ჩვენ არ გვაქვს უფლება, რომ სამუშაო ადგილებზე მინიმალური ზღვარი დავაწესოთ. მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ თანამედროვე ტექნოლოგიებმა ბევრი მოცემულობა შეცვალა და შესაბამისად, შეიძლება, ერთ საწარმოს მხოლოდ ორი ოპერატორი სჭირდებოდეს, თუმცა მილიონობით ღირებულების პროდუქციას აწარმოებდეს. ამიტომ, მნიშვნელოვანია, საზოგადოებას ვაჩვენოთ თითოეული საწარმო, რომელიც დაფინანსდა ჩვენი მთავრობის მიერ და ვფიქრობ, აღარ გაჩნდება კითხვები — სად არის დაპირებული საწარმოები.

— წელს, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლე, სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის ექსპლუატაციაში გაშვება გახდა...

— კარგად მოგეხსენებათ, ყოველწლიურად, კახეთის რეგიონს სეტყვა რაოდენ მნიშვნელოვან ზიანს აყენებდა. წინასაარჩევნოდ, ადგილობრივი მოსახლეობის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა სწორედ სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის შექმნა იყო. ჩვენი მთავრობის გადაწყვეტილებით, ბიუჯეტიდან 14,7 მილიონი ლარით დაფინანსდა, ფირმა „დელტას“ მიერ, სეტყვასაწინააღმდეგო სარაკეტო დანადგარების მონტაჟი და საცეცხლე პოზიციების მშენებლობა. სისტემა სხვადასხვა კომპონენტებისგან შემდგარ ერთიან კომპლექსს წარმოადგენს, რომლის მიზანი და დანიშნულება სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სეტყვისგან დაცვა იქნება, ხოლო დაფარვის ზონაში მთლიანი კახეთის რეგიონი შევა. სისტემის ამოქმედების შემდეგ, მიყენებული ზარალი 85-95%-ით შემცირდება. გარდა ამისა, მინდა აღვნიშნო, რომ პირველი, საპილოტე ეტაპის დასრულების შემდეგ, სახარჯი მასალის, ეგრეთწოდებული ჭურვების წარმოება, საქართველოში იქნება შესაძლებელი.

— ამ სისტემის ამუშავებასთან ერთად, ალბათ კომპლექსურად უნდა განვიხილოთ ქვეყანაში მიმდინარე სამელიორაციო სამუშაოები...

— აღსანიშნავია, რომ საქართველოს რელიეფის გათვალისწინებით, თუკი დასავლეთ საქართველოში აქცენტი დამშრობ სისტემებზე კეთდება, აღმოსავლეთ საქართველოში სარწყავი ქსელის გამართვაა აქტუალური. სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიასთან ერთად ინტენსიურად აწარმოებს სარწყავი სისტემების რეაბილიტაციას. გეგმის მიხედვით ხდება სათავე ნაგებობის და გამანაწილებლების აღდგენა. დაზიანებული კონსტრუქციების შეცვლა; წყალგამშვები კვანძებისა და ჰიდროტექნიკური ნაგებობების რეაბილიტაცია. ჩატარებული სამუშაოების შედეგად, ეტაპობრივად, აღმოსავლეთ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწის ასეულობით ჰექტარი წყალ-უზრუნველყოფილი გახდება და აღნიშნული ფართობით 20 000 მოსახლე ისარგებლებს. სარეაბილიტაციო ღონისძიებები ამა წლის მაისში დასრულდება და პროექტის ღირებულება 9 496 262 ლარს შეადგენს.

ხელისუფლებაში მოსული ჩვენი გუნდისთვის მთავარი პრიორიტეტი სამშობლო და თითოეული ადამიანია

2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებით, საქართველოს მოსახლეობამ, მკაფიო ნება გამოხატა და მხარი დაუჭირა ქვეყანაში რადიკალური ცვლილებების განხორციელებას. მთავრობის მიერ რეფორმების გატარების შედეგად, დღევანდელი ეკონომიკური პოლიტიკა თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს ემყარება, რომელიც საკუთრების უფლების განუხრელ დაცვას, ბაზარზე თავისუფალ კონკურენციას და კერძო სექტორის თავისუფლებას გულისხმობს, ხოლო რეგიონალური განვითარების სახელმწიფო პროგრამა მაქსიმალურად არის მორგებული საქართველოს უმთავრეს საჭიროებებსა და ფართო გამოწვევებზე - შემუშავდა ახალი სამშენებლო ნორმები და სტანდარტები, გათვალისწინებულია ახალი მაგისტრალური გზების მშენებლობა, არსებული გზების რეკონსტრუქცია და საგზაო ინფრასტრუქტურის განახლება-მოდერნიზება. ტარდება ნაპირდაცვითი და მეწყერსაწინააღმდეგო სამუშაოები. აგრარული პოლიტიკის სტრატეგიის განხორციელების ფარგლებში მოწესრიგდა მიწათსარგებლობის საკითხები, ხელი ეწყობა სასოფლო-სამეურნეო მიწის ბაზრის განვითარებას. შეიქმნა ფერმერთა რეესტრი. ვითარდება სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო და სალიზინგო სისტემა. მცირე და საშუალო ფერმერები უზრუნველყოფილნი არიან ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით, ხოლო ფერმერული კოოპერატივების განვითარება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. ამ ტენდენციების არსებობა დუშეთის მუნიციპალიტეტშიც ნათელი და თვალშისაცემია. ბოლო წლებია, რაიონს აშკარად ეტყობა მზრუნველი მმართველის ხელი. წინსვლა ყველა მიმართულებით შეინიშნება და რაიონში წარმატებულად მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული თუ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. სწორედ სიახლეებზე და სამომავლო პერსპექტივებზე გვესაუბრა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ბატონი **ვაჟა ჩოხელი.**

– ბატონო ვაჟა, თავდაპირველად დუშეთის მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროექტებზე ვისაუბროთ...

– 2014 წლიდან მოყოლებული, მუნიციპალიტეტში მართლაც ბევრი საინტერესო პროექტი განვახორციელეთ და მუშაობა ყველა მიმართულებით ახლაც უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს. ეტაპობრივად ხდება წლების განმავლობაში დაგროვებული პრობლემების მოგვარება, როგორც ქალაქ დუშეთში, ისე მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში. სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოები განხორციელდა ჟინვალის ადმინისტრაციულ ერთეულში - ხორხის ხეობაში მიმდინარეობს ხიდის მშენებლობა, ჩინოში, ზემო და ქვემო არანისში მოიხრეშა გზები, გაკეთდა ნაპირსამაგრები და სანიაღვრეები. მოხდა სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია. გუდამაყრის მიმართულებით სამუშაოები განვახორციელეთ კიტოხი-ჩოხისა და დუმაცხო-ჩოხის საავტომობილო გზაზე. გამსის ხიდთან გაკეთდა ნაპირსამაგრი, ასევე მიმდინარეობს სამანქანე ხიდისა და ნაპირსამაგრის მოწყობა. სოფელ ლუთხუბში მოგვარდა წლების განმავლობაში არსებული წყლის პრობლემა. გუდამაყრის ხეობისათვის ძალზედ მნიშვნელოვანი იყო ორი ხიდის მშენებლობა, რომელიც ბურსაჭირისა და ბოსლის ხეობას დააკავშირებს. ასევე წელს მოხდება ოშპიტელი-გუდამაყრის გზის მოასფალტება, რომლის საპროექტო სამუშაოებიც 3 მაისს მთავრდება, იგეგმება ფასანაურის შიდა ხიდის და ზანდუკის ხიდის რეკონსტრუქცია. უკანაფშავის თემის სოფელ თხილვანაში კეთდება ხიდი და ნაპირსამაგრი დამბები. ფართომასშტაბიან სამუშაოებს ვაწარმოებთ ბაზალეთის თემში არსებულ ერთერთ დიდ სოფელ - ბაგას მიმართულებით, სადაც თანამედროვე სტანდარტებით დასრულდა გზის მოასფალტება, თვითონ ბაზალეთში მოეწყო ნაპირსამაგრი, სამანქანე ხიდი, გარე განათება და მოიხსნა წყლის პრობლემა, პაპიაანთუბანში ვაკეთებთ გაბიონებს. ასევე კობიაანთკარსა და კარიაულთკარში გაკეთდა სანიაღვრე არხები; სოფელ ჭოპორტში დავაგეთ ასფალტის საფარი, ასევე ჭოპორტის თემში მდებარე სოფელ ახატნის გზის საპროექტო სამუშაოები დასრულდება 3 მაისს და პროექტსაც შესაბამისად უმოკლეს ვადაში დავამთავრებთ. ანანურის მოსახლეობას მოეხსნა წლების განმავლობაში არსებული სასმელი წყლის პრობლემა და ანანური-ავენისის 7 კმ-იანი წყლის დაქსელვის პროექტის წყალობით

400-მა ოჯახმა მიიღო სასმელი წყალი, ხოლო სათავეში დაიდგა 600 ტონიანი ავზი. მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მოხდება შატილის ჰესის რეაბილიტაცია და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა. ბარისახოში კეთდება სანიაღვრე არხები და ცხაურები. გრემისხევში ტარდება აღდგენის და ნაპირსამაგრი სამუშაოები, ასევე სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემის კომპანიასთან ერთად გრემისხევის წყალსაცავზე მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები. პროექტით გათვალისწინებულია კაშხლის სადაწნეო ფერდის დაზიანებული უბნის აღდგენა, წყალსაგდების თხემისა და დამეწყრილი კალაპოტის, ექსპლუატაციის სამსახურის შენობის, მისასვლელი გზისა და მექანიკური ნაწილის რეაბილიტაცია. ამ სამუშაოების დასრულების შემდეგ, მიმდებარე სოფლებში მჭადიჯვარში, შუახევსა და ლამოვანში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება სარწყავი წყლის მიწოდება დაახლოებით 1600 ჰა მიწის ფართობზე.

— თავად ქალაქ დუშეთში რა მდგომარეობაა?

— ქალაქში სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებს ვახორციელებთ: დუშეთის შემოსასვლელში მოეწყო ახალი სკვერი, ხორციელდება სამუსიკო სკოლის ისტორიული შენობის სრული რეაბილიტაცია, ეტაპობრივად ხდება ქუჩების მოასფალტება და გარე განათების მოწესრიგება. ამჟამად რეკონსტრუქცია უტარდება რაზიკაშვილის, იოსელიანის ქუჩებს და აგრარული ბაზრის მიმდებარე ტერიტორიას. რეგიონში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურის პროექტების ფონდიდან მოხდება დუშეთის 19 ქუჩის მოასფალტება-რეაბილიტაცია, რომლის პირველი ეტაპიც უკვე დაიწყო და მიმდინარეობს დუშეთის ისტორიული ბულვარის მიმდებარე ტერიტორიის საპროექტო სამუშაოები. მთვარელიანთ დასახლებაში მოხდა გზის მოხრეშვა და გაკეთდა სანიაღვრე არხის ცხაური. ახლახან ექსპლუატაციაში შევიდა ღია ტიპის საჭიდაო დარბაზი და ტენდერი გამოცხადდა სველი წერტილებისა და გასახდელის მოსაწესრიგებლად. საგრძნობლად გამოსწორდა წყალმომარაგება, კანალიზაცია და სანიტარული მდგომარეობა დასუფთავების კუთხით არამარტო დუშეთში არამედ სოფლებსა და დაბებშიც. საქმიანი შეხვედრა გვქონდა შვეიცარიის განვითარების სააგენტოს წარმომადგენლებთან, სადაც ახალი პროექტის - „საზოგადოების ჩართვა რეგიონულ დაგეგმარებაში“ - ფარგლებში განხორციელებული შედეგები განვიხილეთ. პროექტი გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით ხორციელდება და ამ საქმეში დიდ თანადგომას გვიწევს საქართველოს პარლამენტის წევრი, დუშეთის მაჟორიტარი დეპუტატი, ბატონი ირაკლი ტრიპოლსკი. დედაქალაქთან ტერიტორიული სიახლოვე დუშეთს მეტ აქტუალურობას სძენს. სწორედ ამიტომ, ჩვენი მიზანია იგი საგანმანათლებლო ტიპის კულტურულ ქალაქად ჩამოყალიბდეს. ევროპის საბჭოს სამოქმედო გეგმის ფარგლებში, მსოფლიო მემკვიდრეობის ქალაქების ასოციაციის (OWHC) პარტნიორობით ქალაქი დუშეთი ჩაერთო პროექტში, რომელიც ითვალისწინებს აღმოსავლეთი ევროპის თითოეულ ქვეყანაში ერთი პილოტური სადემონსტრაციო ქალაქის შერჩევას, სადაც დაინერგება ევროპის საბჭოს მიერ შემოთავაზებული ახალი მეთოდოლოგიები და მიდგომები ურბანული მემკვიდრეობის რეაბილიტაციისათვის. ასევე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსთან ერთად და მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, ქალაქ დუშეთის ძველი უბნების სრული რეაბილიტაცია განხორციელდება. რესტავრაცია ჩაუტარდება ძველ უბნებს და უნიკალურ შენობებს, შენარჩუნდება და აღდგება ისტორიული იერსახე. პროცესში ჩართულია ბატონი ირაკლი ტრიპოლსკი, მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო, არასამთავრობო ორგანიზაციები და მოწვეული სპეციალისტები.

— სოციალური კუთხით რა ვითარებაა მუნიციპალიტეტში?

— ინფრასტრუქტურის განვითარებასთან ერთად, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა აქვს მუნიციპალიტეტში არსებულ საერთო სოციალურ ფონს. დღეს, როდესაც ჩვენი ხელისუფლების პირობებში, პროცესები სრულიად გამჭვირვალედ მიმდინარეობს, სოციალური კუთხით კიდევ უფრო მეტი პროექტი ხორციელდება. ორიენტაცია ისეთ სეგმენტებზე ავიღეთ, სადაც მოსახლეობის დახმარება გაცილებით ეფექტური იქნება. დუშეთის რაიონი საქართველოს მასშტაბით ერთ-ერთი დიდი მუნიციპალიტეტია და ამ კუთხით აუცილებელია სახელმწიფო პროგრამებმა გამიზნულად იმუშაონ, რათა მოსახლეობამ მეტი ყურადღება იგრძნოს. კატეგორიებად ვანაწილებთ და შეძლებისდაგვარად ვაფინანსებთ სტიქიით დაზარალებულ მოქალაქეებს, მატერიალურად ვეხმარებით სოციალურად დაუცველ ოჯახებს და სტუდენტებს. შედავათები გვაქვს გათვალისწინებული ომის ვეტერანებსა და ას წელს გადაცილებულ მოქალაქეებზე. სამშობიაროს უფასოდ გადავეცით ახალშობილების კალათები. პირადად ჩემი ინიციატივით შედგენილია ადგილობრივი სტუდენტებისთვის თბილისამდე უფასო მგზავრობის პროექტი და საკრებულოს გადაეცა შესათანხმებლად. ახლახან ჩვენი მუნიციპალიტეტის გამგეობის ინიციატივით საერთაშორისო ამერიკული დონორი ორგანიზაციებისაგან მიღებული ჰუმანიტარული ტვირთი - საოჯახო-ჰიგიენურ მოხმარების საშუალებები, საკვები პროდუქტები, საბნები, ჩვილ ბავშვთა და სასკოლო ნაკრებები - დუშეთის

ბენეფიციარებს გადაეცათ. აღნიშნული დახმარება ასევე გადანაწილდება მუნიციპალიტეტში მცხოვრებ, სოციალურად დაუცველ და სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ ოჯახებზე.

— დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ერთ-ერთი ტელევიზიით გასულმა სიუჟეტმა, სადაც ჭოპორტის საბავშვო ბაღზე იყო საუბარი...

— სრული პასუხისმგებლობით მინდა განვაცხადო, რომ მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის შენობების კუთხით, წინა ხელისუფლებისაგან უმძიმესი მემკვიდრეობა გვერგო. სფერო მთლიანად გაპარტახებული და განადგურებული იყო, თუმცა ჩვენი ძალების მობილიზებით, ამ მიმართულებით მნიშვნელოვან პროგრესს მივაღწიეთ. ამ ეტაპზე, რეგიონში განსახორციელებელი პროექტები წარვადგინეთ რეგიონალური განვითარების სამინისტროში, რომელმაც 450 ათასი ლარით დაფინანსა პროექტი 12 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის შესახებ და საპროექტო სამუშაოებზე გამოცხადებული კონკურსის შედეგად უკვე გამოვლინდა კომპანია, რომელმაც 25 მაისს უნდა დაასრულოს საპროექტო სამუშაოები, ხოლო ივნისში გამოცხადდება ტენდერი სამშენებლო სამუშაოებზე: ჩატარდება რემონტი, შეიცვლება სახურავები და კარ-ფანჯრები და სამუშაოების ჩატარებისას გათვალისწინებული იქნება სურსათის უვნებელყოფის ეროვნული სააგენტოს რეკომენდაციები. დუშეთის პირველი საბავშვო ბაგა-ბაღის ანალოგიურად, სკოლამდელი აღზრდის რამოდენიმე დაწესებულებაში გაკეთდება თანამედროვე ტიპის გათბობა. ჭოპორტის ბაღს, სადაც მართლაც უმძიმესი ვითარება იყო და წლების განმავლობაში წყალი არ ყოფილა, ახლა სასმელი წყალი 24 საათიანი რეჟიმით მიეწოდება. თანამედროვე სტანდარტების ახალი შენობის აგება მიმდინარეობს სოფელ ქვეშეთში, სადაც საბავშვო ბაღი აქამდე არასდროს ფუნქციონირებდა.

— სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით რა ვითარებაა...

— ჩვენს ინტერესებშია მოსახლეობის ინტერესებთან მაქსიმალური სიახლოვე, მათთვის ინფორმაციის მიწოდება მიმდინარე პროგრამების შესახებ. გამგეობა კერძო ინიციატივებს მხარს უჭერს და განსაკუთრებით აღსანიშნავია ის სახელმწიფო პროგრამები, რომელიც ადგილობრივი წარმოებების შექმნაზე და მათ წახალისებაზეა ორიენტირებული. ამ მიმართულებით დუშეთს მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია. მუნიციპალიტეტში უკვე ჩამოყალიბდა რამდენიმე კოოპერატივი, აქტიურ ფაზაში შევიდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიცირებული „მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროგრამა“, რომელსაც სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო ახორციელებს, წელს პროგრამაში მონაწილეობას ის ფერმერები იღებენ, რომელთაც საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში 0,25 ჰა-მდე ჯამური ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი გააჩნიათ. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის გარდა, რომელიც ყველა სოფელში ყოველწლიურად ხორციელდება, ტარდება სოფლად თემთა განვითარების სააგენტოს ინტენსიური შეხვედრები მოსახლეობასთან. ასევე რეგიონალური განვითარების ფონდის დაფინანსებით ვახორციელებთ აგრარული ბაზრების რეაბილიტაციას, რომელთა მშენებლობა სანიტარული ნორმების დაცვით მოხდება. ქალაქ დუშეთში უკვე ფუნქციონირებს აგრარული და საქონლის ბაზარი, წითელსოფელსა და დაბა ფასანაურშიც აღნიშნული ბაზარი აღდგენილია.

— კულტურის სიახლეებზეც გვითხარით...

— როგორც მოგეხსენებათ, დუშეთის პირველ საჯარო სკოლას 180 წელი შეუსრულდა. ამ მოვლენასთან დაკავშირებით, გამგეობის ინიციატივით კულტურის სახლში საიუბილეო საღამო ჩატარდა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ პირველ სკოლას სპეციალური სიგელი გადასცა და მისი გადაწყვეტილებით სკოლას კვლავ ვაჟა-ფშაველას სახელი დაუბრუნდა. იუბილეს წილკნისა და დუშეთის ეპარქიის მღვდელმთავარი, მიტროპოლიტი მეუფე ზოსიმე ესწრებოდა, ხოლო საპატრიარქოს წარმომადგენლებმა სკოლას უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის მილოცვა და ბიბლია გადასცეს. გარდა ამისა, დუშეთის კულტურის სახლში, რომელიც ილია ზაქაიძის სახელს ატარებს, ჩატარდა სახალხო არტისტის, ილია ზაქაიძის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა „ერისიონმა“, სადაც ილია ზაქაიძე მოღვაწეობდა. ანსამბლის წევრებმა ისაუბრეს მომღერალზე, რომელიც ქართული კულტურის ისტორიაში შევიდა, როგორც ქართული ხალხური სიმღერის უბადლო შემსრულებელი, რომლის ნამღერი „ჩაკრულოც“ დღეს გალაქტიკაშია. უახლოეს დღეებში ქ. დუშეთში ოფიციალურად დაფუძნდება საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის წარმომადგენლობა, რომელიც მიზნად ისახავს 2001 წელს იუნესკოს მიერ არამატერიალურ კულტურის ძეგლად აღიარებული უნიკალური ქართული სიმღერის გადარჩენას. ასევე დუშეთის გამგეობის ინიციატივით, დუშეთის კულტურის სახლში გაიმართა საქართველოს დამსახურებული მხატვრების და ამასთანავე ჩვენი რაიონის საამაყო მოღვაწეების - ილია პატაშურის და ავთო მოსიაშვილის პერსონალური საიუბილეო გამოფენები, რომელთაც საზოგადოების დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურეს.

— სამომავლოდ რას პირდებით მოსახლეობას?

— ჩემს თანამემამულეებს მინდა დავპირდე, რომ მაქსიმალურად დავიხარჯები მათი ინტერესების გასატარებლად და 24 საათიანი რეჟიმით გავაგრძელებ ზრუნვას ადგილობრივ მოსახლეობაზე. ხალხს ჩვენთან კომუნიკაციის პრობლემა არ აქვს, უკლებლივ ყველას შეუძლია დაგვიკავშირდეს, ჩვენამდე მოიტანონ საკუთარი პრობლემები და ერთად ვიფიქროთ გადაჭრის გზებზე. ხელისუფლებაში მოსული ჩვენი გუნდისთვის ყველაზე მთავარი პრიორიტეტი სამშობლო და თითოეული ადამიანია. ჩვენ საქმეს ხალხისთვის ვაკეთებთ, მათ წინაშე ვგრძნობთ პასუხისმგებლობას და ყველა შედეგი, რასაც აქამდე მივაღწიეთ და რასაც უახლოეს მომავალში მივაღწევთ, სწორედ ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქისთვის, მათი თავისუფლებისა და ღირსებისთვის გვინდა. მჯერა, საქართველო წარმატებით გადალახავს ყველა სირთულეს და ამ გარდამტეხ პერიოდს ღირსეულად გაივლის.

მეამაყება, რომ ეს პროექტი, ჩემი მოღვაწეობის პერიოდში განხორციელდება

საქართველოს, როგორც არასდროს, ისე სჭირდება მართებული გადაწყვეტილების მიღება, სწორი ეკონომიკური კურსის არჩევა და საქმისადმი პრაგმატული დამოკიდებულება. ქვეყნის თანამიმდევრული განვითარება უკვე გატარებულმა რამოდენიმე უმნიშვნელოვანესმა რეფორმამ უნდა უზრუნველყოს. ასეთ ვითარებაში ცენტრიდან რეგიონებზე გადანაწილებული პასუხისმგებლობა ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი მთავარი საწინდარია. სწორედ დეცენტრალიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული ძლიერი მუნიციპალიტეტები და ადგილობრივი ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს ქვეყნის სტაბილურობას. პერიფერიებზეა დამოკიდებული სამუშაო ადგილების შექმნა, ხელმისაწვდომი ჯანდაცვის უზრუნველყოფა და სოფლის მეურნეობის წინსვლა, ლარის კურსის გამყარება, რეგიონების ინფრასტრუქტურული თუ კულტურული განვითარება და ზოგადი ეკონომიკური ვარდნის შეჩერება, დღეს, ის გეგმები, რომელიც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა და ქვეყნის მთავრობამ სამოქმედოდ დაისახა, სწორედ ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ უნდა მოიყვანოს სისტემაში და მათი ზედმიწევნით სწორად შესრულება უზრუნველყოს. რეგიონული განვითარების მიზნობრივი პროგრამების

შემუშავების მეთოდოლოგია, მისი დამტკიცებისა და განხორციელების პრაქტიკა უნარიანი და საქმიანი ხელმძღვანელის რაციონალურ მიდგომას საჭიროებს. პრინციპულად ახალი და გაუმჯობესებული პროგრამები აუცილებელი პირობაა ადგილობრივ ტერიტორიულ ერთეულებში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მთავრობის მიერ წარმოდგენილ ამ კურსს განუხრელად უჭერს მხარს ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ბატონი **სულხან მახათაძე**, რომელსაც მოსახლეობის თანადგომა და დაფასება არ აკლია...



— ბატონო სულხან, რა სიახლეებია ჭიათურის რაიონში?

— უკანასკნელ პერიოდში ჩვენს მუნიციპალიტეტში რამოდენიმე წარმატებული პროექტი განხორციელდა. გაზაფხულის დადგომისთანავე განვაახლეთ გზების მოასფალტების პროცესი. ამ ეტაპზე აქტიურად მიმდინარეობს ჭიათურა-ხვაშითის გზის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები. პარალელურად, მოსამზადებელ ეტაპზეა გეზრული-ჭიათურის მიმართულება. ეს მარშრუტები პრობლემურად და რთულად ითვლება, თუმცა ეფექტურობა ნამდვილად მნიშვნელოვანია. ხოლო, სამომავლოდ, ასფალტირებული გზა, მუნიციპალიტეტის ყველა სოფელს ექნება. გარდა ამისა ეტაპობრივი რეაბილიტაცია უტარდება ქალაქ ჭიათურის, როგორც ცენტრალურ, ასევე წლების განმავლობაში მიტოვებულ, პერიფერიულ ქუჩებს. ამჟამად დაგეგმილია ნინოშვილის და თხელიძის

ქუჩების რეკონსტრუქცია. უკვე დავასრულეთ რუსთაველის გამზირი და დავით აღმაშენებლის ქუჩა, მიმდებარე ჩიხების ჩათვლით, სადაც მოასფალტდა გზები, შეკეთდა სანიაღვრე არხები და საკანალიზაციო სისტემა. ამასთან ერთად, ჭიათურის მუნიციპალიტეტში აქტიურად მიმდინარეობს სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაციის პროგრამა, ვინაიდან, საკმაოდ დაძველებული ინფრასტრუქტურის გამო, ჩვენი გამგეობის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ საბავშვო ბაღების შენობების კეთილმოწყობა წარმოადგენს. შარშან შვიდი ასეთი დაწესებულება გარემონტდა, ხოლო ამ დროისთვის სარეაბილიტაციო სამუშაოები წარმოებს ჭიათურის საბავშვო ბაღების მე-8, მე-3 და მე-7 განყოფილებებში, რაც სახურავების შეკეთებას, გადახურვას, სველი წერტილებისა და სამზარეულოს მოწყობას, მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრების დაყენებას და გათბობის სისტემის დამონტაჟებას მოიცავს. პროექტს, ჩვენთან ერთად, რეგიონალური განვითარების ფონდი აფინანსებს. გარდა ამისა, ავტომატურ რეჟიმში მიმდინარეობს მცირე ადგილობრივი პროექტები, რომლებიც გარე განათების მოწესრიგებას, საყრდენი კედლების მოწყობას, ლიფტების აღდგენას, სახურავების შეკეთებას და სკვერების რეაბილიტაციას ითვალისწინებს.

— როგორც ამ დღეებში გახდა ცნობილი, ჭიათურაში გრანდიოზული პროექტი განხორციელდება...

— ყველას მოეხსენება, რომ ჭიათურის რელიეფიდან გამომდინარე, საბაგირო გზა ადგილობრივი მოსახლეობის და ტურისტების ძირითადი სატრანსპორტო საშუალებაა, რომლითაც ყოველდღიურად რამდენიმე ათასი ადამიანი სარგებლობს. საბაგირო გზები დღემდე იმ მანქანა-დანადგარებით ფუნქციონირებს, რომელიც ჯერ კიდევ 1963 წელს, გიორგი ფანცულაიას პროექტის მიხედვით დამონტაჟდა. ბაგირგზებზე სარემონტო სამუშაოები 1990-იანი წლებიდან აღარ ჩატარებულა, რაც მგზავრთა უსაფრთხოდ გადაადგილებას რისკის ქვეშ აყენებდა. პრემიერ-მინისტრის მხარდაჭერით, ამ ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები 2015-16 წლებში განხორციელდება და შესაბამის ხელშეკრულებას ხელი უკვე მოეწერა. ახალი საბაგირო გზების მშენებლობას საფრანგეთის მთავრობა 30 მილიონი ლარით დააფინანსებს. სარეაბილიტაციო სამუშაოები ჭიათურის საბაგირო გზის 4 მონაკვეთს ჩაუტარდება და ქალაქის ცენტრს გარეუბნებთან დააკავშირებს. ბაგირგზები თანამედროვე სტანდარტების ტექნიკით აღიჭურვება, რომელიც ქსელის უსაფრთხოდ მუშაობას უზრუნველყოფს. მეამყეება, რომ ეს პროექტი, სწორედ მუნიციპალიტეტში ჩემი მოღვაწეობის პერიოდში განხორციელდება.





- არ შეიძლება, არ გკითხოთ ჭიათურის წყლით უზრუნველყოფის საკითხზე...

- ჭიათურის მუნიციპალიტეტს უმძიმეს ტვირთად აწევს მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების საკითხი. მაღაროზე სხვადასხვა სამუშაოების დროს ხდება წყლის მარგანეცით და სხვა მძიმე მეტალებით დაბინძურება, რის გამოც მისი გამოყენება არათუ სასმელად, არამედ ტექნიკური მიზნებისთვისაც შეუძლებელია. საკითხი გლობალურ შესწავლას საჭიროებს. სამწუხაროდ, წყალგაყვანილობის სისტემა, რომლის დიდი ნაწილი ამჟამად „ჯორჯიან მანგანეზის“ ბალანსზეა, მთლიანად ამორტიზებულია. მოლაპარაკებები მიმდინარეობს გაერთიანებული წყლის კომპანიასთან და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან.

„მსოფლიო ბანკის“ დაფინანსებით თანხები 28 მუნიციპალიტეტზე, მათ შორის - ჭიათურაზეც გამოიყო. ტენდერი დასრულებულია და როგორც მოსახლეობის გამრიცხველიანებას, ასევე სათავე ნაგებობაში გამწმენდი ფილტრების მოწყობას ითვალისწინებს, რის შემდეგაც, მოსახლეობა, გაზრდილი გრაფიკით მიიღებს უმაღლესი ხარისხის წყალს. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე, მსოფლიო ბანკმა პროექტების კორექტირება მოითხოვა

და იმედია პროექტი ზაფხულისთვის დაიწყება.

— სოციალურ საკითხებს და ჯანდაცვას რაც შეეხება?

— ჭიათურის მუნიციპალიტეტში შვიდი სამედიცინო დაწესებულება ფუნქციონირებდა, მათ შორის 720 პაციენტზე გათვლილი საავადმყოფოები. სამწუხაროდ, წინამორბედმა ხელისუფლებამ საჭიროდ ჩათვალა ეს დაწესებულებები გაეუქმებინა და რაიონი „ჯეოჰოსპიტალის“ 25-საწოლიანი კლინიკის ამარა დარჩა, რომელიც მინიმალურადაც ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებას. მიმაჩნია, რომ ჯანდაცვის ძლიერი კერის არსებობას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს რაიონის პერსპექტივისათვის და ამ კუთხით ჯანდაცვის სამინისტროსთან ინტენსიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს. რაც შეეხება სოციალურ მიმართულებებს, მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსაკრებელი, რამაც შემოსავლების რამდენიმე მილიონი ლარით ზრდა გამოიწვია. შესაბამისად, ჩვენმა გამგეობამ გადახედა ზოგადი პროგრამების სიას და ისეთ სეგმენტებზე ავიღეთ ორიენტაცია, სადაც მოსახლეობის შემწეობა გაცილებით ეფექტური იქნება. ბენეფიციარებს ვეხმარებით მედიკამენტებით, 50%-ით ვუფინანსებთ გამოკვლევებს, ხოლო, გეგმიურ ოპერაციების დარჩენილ 30%-იან წილს, რომელსაც დაზღვევა 70%-ით აფინანსებს გამგეობა ფარავს. გარდა ამისა, ჩემი ინიციატივით, 30 წარჩინებულ ჭიათურელ სტუდენტს ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით სტიპენდია დაენიშნა. სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ მსგავსი პროექტი საქართველოს არცერთ მუნიციპალიტეტში არ ხორციელდება. მიმაჩნია, რომ განათლებული ახალგაზრდობა ყველაზე დიდი ძალაა ქვეყნისთვის, ჩვენი ქალაქისთვის და ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ მაქსიმალურად შევუწყოთ მათ ხელი სწავლასა და განვითარებაში.

— სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვით?

— სამომავლოდ, დიდი სურვილი გვაქვს მოვაგვაროთ ჭიათურაში მანგანუმის წარმოების პრობლემები. გარდა ამისა, იგეგმება ქალაქ ჭიათურაში შეზღუდულ შესაძლებლობის პირთათვის დღის ცენტრის გახსნა, რადგან საკითხი საკმაოდ აქტუალურია და სასწრაფო გადაწყვეტას ითხოვს. ზემოთ-ჩამოთვლილი გარდამავალი პროექტების გარდა, რომელიც გზების და საბავშვო ბაღების მშენებლობას, საბაგირო გზების რეაბილიტაციას და სასმელი წყლის პრობლემის გადაწყვეტას შეეხება, არცერთი მიმართულება არ რჩება უყურადღებოდ და ბიუჯეტში თანხები ყველა სფეროზე გონივრულად გვაქვს განაწილებული.

ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან, საქართველოს მთავრობამ, ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად სოფლის მეურნეობის განვითარება დაისახა. ამის უპირველეს გარანტს კი, მკაფიოდ განსაზღვრული აგრარული პოლიტიკა და სოფლის მეურნეობის სექტორში ფინანსური რესურსების მნიშვნელოვნად გაზრდა წარმოადგენს. სწორედ ამ მიმართულებების სტიმულირებისათვის, ერთი წლის წინ, საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ბატონი ირაკლი ღარიბაშვილის პირადი ინიციატივით, საფუძველი ჩაეყარა სახელმწიფო პროგრამას - „აწარმოე საქართველოში“. ამ რეფორმატორული პროექტის ძირითადი მიზანია საქართველოში მეწარმეობის ხელშეწყობა, ადგილობრივი წარმოების წახალისება - განსაკუთრებით ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში, ახალი საწარმოების ამუშავება და სამუშაო ადგილების შექმნა. პროგრამის ეფექტიანი განხ-

თითოეულმა მოქალაქემ თავი ღირსეულად უნდა იგრძნოს

ორციელება თითოეული სამთავრობო უწყების და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების სკურპულოზურ მუშაობაზე არის დამოკიდებული. სწორედ თვითმმართველობებმა უნდა უზრუნველყონ რეგიონებში მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, სურსათის უვნებლობა, გააგრძელონ რეგიონალური და სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის განვითარება. ეს საკითხები აქტუალურია თერჯოლაშიც, რომლის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ **თემურ ჯაფარიძეს**, რაიონში მიმდინარე პროექტების განხორციელება პირად კონტროლზე ჰყავს აყვანილი.

— ბატონო თემურ, რა სიახლეებია რაიონში ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით?

— როგორც მოგეხსენებათ, ინფრასტრუქტურის განვითარება, დღეისათვის, სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. ჩვენც, არსებული რესურსებიდან გამომდინარე, ძირითადი აქცენტი გზების რეკონსტრუქციაზე გადავიტანეთ. დღეისათვის, ბარდუბან-ზედა სიმონეთის 3,5 კილომეტრიან მონაკვეთზე მიმდინარეობს ასფალტის დაგების სამუშაოები, დასრულების სტადიაშია თერჯოლიდან სოფელ რუფოთისკენ მიმავალი გზის ასფალტირება, ხოლო ქალაქში სარეკონსტრუქციო სამუშაოები, ამ ეტაპზე, ლესელიძის ქუჩაზე მიმდინარეობს, ხოლო ჩხარი-ალისუბნის გზის მონაკვეთის



პროექტირება უკვე დასრულდა. გარდა ამისა, ვაპირებთ საფუძვლიანად მოვაწესრიგოთ სანიაღვრე არხები და საკანალიზაციო სისტემა, რომელთა დაპროექტება გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. მათი რეაბილიტაცია უახლოეს მომავალში დაიწყება და ამ მიმართულებით 130 ათასი ლარია გამოყოფილი.

— „სოფლის მხარდაჭერის პროგრამას“ რაც შეეხება?

- ამ პროგრამის ფარგლებში თერჯოლის მუნიციპალიტეტს 840 000 ლარი გამოეყო და ეს თანხა, კომლთა რაოდენობის მიხედვით, რაიონის სოფლებზე გადანაწილდება. მოსახლეობის უშუალო მონაწილეობით დაიგეგმა სოფელში ჩასატარებელი პრიორიტეტული სამუშაოები - ხიდების, ბოგირების, სპორტული მოედნების, სანიაღვრე და საწრეტი არხების შეკეთება, მდინარის ნაპირსამაგრების რეკონსტრუქცია, მოსაცდელების მოწყობა, სასაფლაოს შემოკავება. გარდა ამისა, პერიოდული უამინდობის მიუხედავად, სოფლის მეურნეობის სამინისტროს „მცირემიწიან ფერმერთა 2015 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში აქტიურად მიმდინარეობს ხვნის სამუშაოები.

— რაიონში კიდევ ერთი ახალი პროექტის ინიცირება მოეწყო...

— როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს რეგიონებში ძალას იკრებს საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილის მიერ ინიცირებული, „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში დაწყებული მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროექტი, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას ხელს შეუწყობს საკუთარი საქმის წამოწყებაში და დადებით გავლენას მოახდენს რეგიონის განვითარებაზე. ახალი პროგრამის განხორციელება 2015 წლის 15 მარტიდან დაიწყო და ამ ეტაპზე ბიზნესიდეების კონკურსი მიმდინარეობს. ვფიქრობ, ეს წამოწყება კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

— სადღეისოდ როგორია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური ფონი?

— ამ მიმართულებით გარკვეულ წარმატებებს მივაღწიეთ. ბიუჯეტის მატებასთან ერთად, გაიზარდა სოციალური პროგრამების რაოდენობა. ამ ეტაპზე თერჯოლის მუნიციპალიტეტი ახორციელებს სოციალურ და ჯანმრთელობის დაცვის ისეთ პროგრამებს, როგორებიცაა ერთჯერადი სოციალური დახმარება გაჭირვებული ოჯახებისათვის, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფა, უფასო სასადილო. გარდა ამისა, ვეხმარებით მრავალშვილიან ოჯახებს, უსინათლოებს და ეპილეფსიით დაავადებულებს. ჩვენი ძირითადი მიზანია ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურად ყველაზე დაუცველი ფენის მხარდაჭერა და მათთვის გაწეული მომსახურების ხარისხის ამაღლება, რათა თითოეულმა მოქალაქემ თავი ღირსეულად იგრძნოს.

— როგორც ვიცით, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის საფეხბურთო გუნდმა დიდ წარმატებას მიაღწია...

— დიდი ხნის ლოდინის შემდეგ, თერჯოლის „საპოვნელამ“ ხობში, ადგილობრივი „კოლხეთის“ დამარცხების შემდეგ,

უმაღლესი ლიგის საგზური მოიპოვა. ეს წარმატება ყველას გვახარებს. გვსურდა დაგვემტკიცებინა, რომ პროფესიონალიზმითა და პატიოსნებით ბევრის მიღწევა შეიძლებოდა და ასეც მოხდა - წარმატებას ყოველგვარი ინტრიგისა და მანიპულაციის გარეშე მივაღწიეთ. იმედია, ეს „საპოვნელას“ ბოლო წარმატება არ იქნება. ამ ბიჭებს წინსვლა და განვითარება სჭირდებათ, რადგან ისინი არიან ქართული ფეხბურთის მომავალი. თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობა კვლავაც გაარძელებს გუნდის დაფინანსებას და ყველანაირად გვერდში დაუდგება.

— სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვით?

— სამომავლოდ, ვაპირებთ უკვე დაწყებული პროექტები დავასრულოთ და კვლავაც ინფრასტრუქტურულ მიმართულებებს მივხედოთ. გარდა ამისა ჩვენი მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია - ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტის განვითარება, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა, დასაქმება და სოციალური უზრუნველყოფა. ამაში ხელი ადგილობრივი ბიუჯეტის ზრდამ უნდა შეგვიწყოს. სწორედ ბიუჯეტში სახსრების მატების შედეგად შევიძინეთ რაიონისთვის საჭირო ტექნიკა - გრეიდერი, ტრაქტორები, დასუფთავებისთვის განკუთვნილი სპეცმანქანა და ურნები. გარდა ამისა, ვაპირებთ მოვაგვაროთ რაიონის ბუნებრივი აირით უზრუნველყოფის პრობლემა, რომელიც უკვე წლებია დგას მუნიციპალიტეტის გარკვეული სოფლების მოსახლეობის წინაშე. როგორც ხედავთ, გამოწვევები ძალიან დიდია და იმედი მაქვს, ხელისუფლებისა და მოსახლეობის ერთად დგომით, ყველაფერი დადებითად გადაწყდება.

2015 წელი, საქართველოსთვის, დიდი გამოწვევების წელია. არაერთი ეკონომიკური პრობლემის და ფინანსური სტაგნაციის მიუხედავად, ქვეყნის ხელმძღვანელობა ცდილობს ახალ-ახალი რესურსი მოიძიოს და დასახულ ამოცანებს თავი წარმატებით გაართვას. დღეისათვის, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა მიმართულია ისეთი სფეროების განვითარებისაკენ, როგორიცაა სამეწარმეო და საინვესტიციო გარემო, მეწარმეობა, მცირე და საშუალო ბიზნესი, რეგიონალური კონკურენტუნარიანობის ამაღლება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შექმნა. ყოველივე ეს უზრუნველყოფს ქვეყნის სტაბილურობას და მოსახლეობის ეკონომიკური განვითარების პროცესებში ჩართულობას. ფაქტია, რომ ცენტრსა თუ რეგიონებში ახალი მენეჯმენტის მოსვლის შემდეგ პროექტების დაგეგმვისა და მათი განხორციელების კუთხით სრულად შეიცვალა მიდგომები, ტენდერები გახდა გამჭვირვალე, შემუშავდა ხარისხის ახალი სტანდარტები და გაიზარდა მათი

იმედს ვიტოვებთ, რომ 2015 წელი ბევრად წარმატებული იქნება

კონტროლის მექანიზმები, შეიქმნა პრიორიტეტების დადგენისა და პროექტების შერჩევის მეთოდოლოგია. აქცენტები გადავიდა სოფლის მეურნეობის განვითარებაზე და ადგილობრივი მუნიციპალიტეტები თავად განსაზღვრავენ პრიორიტეტულ მიმართულებებს. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ბატონი **ტარიელ თუთარაშვილი** დარწმუნებულია, რომ სწორი მიდგომით, თავდაუზოგავი შრომით და ინფრასტრუქტურის მიზანმიმართული განვითარებით ყველა პრობლემის გადაწყვეტაა შესაძლებელი...

— ბატონო ტარიელ, მოგვიყევით ბოლო პერიოდში ზესტაფონში დასრულებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესახებ...

— ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც გასულ წელს მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა, იყო ადგილობრივი მნიშვნელობის ქვედა საქარა-



საზანოს საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. პროექტის ფარგლებში ჩატარდა კიუვეტების, გაბიონების, მონიშვნის, მილების, ადგილობრივ გზებთან მიერთებისა და საგზაო ნიშნების მოწყობის სამუშაოები. რეაბილიტაცია ჩაუტარდა ეზოებში შესასვლელებს, ტროტუარებს, ავტო-პავილიონებსა და მდინარე ბუჯაზე არსებულ 24-მეტრიან ხიდს. პროექტის საერთო ღირებულებამ 6 მილიონ 532 ათასი ლარი შეადგინა. სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 150-მდე პირი დასაქმდა, ხოლო მათი 50% ადგილობრივი მოსახლე იყო. აღსანიშნავია, რომ მანამდე ქვედა საქარა-საზანოს საავტომობილო გზაზე არასდროს ყოფილა ასფალტის საფარი და 10-მდე სოფლის მოსახლეობა მოხრეშილი გზით სარგებლობდა. პროექტის განხორციელების შედეგად, გაუმჯობესდა რაიონის საგზაო-სატრანსპორტო ქსელი, რაც თავის მხრივ, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე დადებითად მოქმედებს და მოძრაობას უფრო უსაფრთხოსა და კომფორტულს ხდის. გარდა ამისა, რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით, დასრულდა სოფელ ტაბაკინის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები. გვქონდა მცირეხნიანი შეფერხება, რომელიც კლიმატური პირობებით იყო

გამოწვეული, თუმცა დღეისათვის სოფლის 4 კილომეტრიანი გზა მთლიანად მოწესრიგებულია, დაიგო ბეტონის საფარი და მოეწყო სანიაღვრე სისტემა. სამომავლოდ იგეგმება ასევე მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც ზესტაფონი-სვირი-როდინაულის მიმართულებით 14 კილომეტრიანი გზის მონაკვეთის მშენებლობას ითვალისწინებს და ჯამში 8 მილიონამდე ლარით დაფინანსდება.

— სოციალური კუთხით რა ვითარებაა?

— სასიხარულოა, რომ დაფინანსება ამ კუთხით მნიშვნელოვნად გაიზარდა და მილიონ ლარს გადააჭარბა. შესაბამისად, მრავალფეროვანი გახდა პროგრამების მთელი სპექტრი. გადაწყვეტილია, ისეთ სეგმენტებზე ავიღოთ ორიენტაცია, სადაც მოსახლეობის შემწეობა გაცილებით ეფექტური იქნება. ვცდილობთ სათანადოდ დავეხმაროთ მრავალშვილიან დედებს, უსინათლოებს, ომის ვეტერანებს, დევნილებს, უსახლკაროებს. ამისათვის მუნიციპალიტეტში შექმნილია კომისია, რომელიც თანხების მიზნობრივად განაწილებას უზრუნველყოფს. მიმდინარე წელს, პრიორიტეტად დავისახეთ სკოლამდელი აღზრდის შენობების რეაბილიტაცია. მუნიციპალიტეტში სამი სრულიად ახალი საბავშვო ბაღის აგება და 10 ძველი შენობის რეაბილიტაცია იგეგმება.

— სოფლის მეურნეობის მიმართულებით რა სიახლეებია?

— როგორც მოგეხსენებათ, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით სარწყავი და სადრენაჟე სისტემის რეაბილიტაცია მთელი საქართველოს მასშტაბით აქტიურად მიმდინარეობს. სწორედ საირიგაციო სისტემების მოდერნიზაციის ფარგლებში დაიწყო აჯამეთის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია გამანაწილებელი არხების აღდგენა, ახალი ქსელის და წყალგამშვები კვანძების მოწყობა, გაიწმინდება მაგისტრალური არხი, დაზიანებული ნაწილი აღდგება და მონოლითური ბეტონითა და ანაკრები რკინაბეტონით მოპირკეთდება. მიმდინარე ღონისძიებების შედეგად, შესაძლებელი გახდება ზესტაფონის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფლის მიწის ფართობის მორწყვა. გარდა ამისა, ჩვენი მუნიციპალიტეტის გამგეობაში, შეხვედრა შედგა სათემო ლიდერებთან, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ ორგანულ კანონში მომზადებულ ცვლილებებთან დაკავშირებით. შეხვედრის მონაწილეებმა მიიღეს სრულყოფილი ინფორმაცია, რაც აუცილებელია ამ კანონ-პროექტით გათვალისწინებული სოფლის კრებების ორგანიზებისათვის და ადგილობრივ ხელისუფლებასთან ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის. პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოს მთავრობის მიერ აღებული ვალდებულების შესრულებას და დაამკვიდროს მოსახლეობის მონაწილეობის ინსტიტუციური ფორმები ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში.

— საგანმანათლებლო სფეროში, კიდევ ერთ ახალ წამოწყებას ჩაეყარა საფუძველი...

— ამ დღეებში, იმერეთის რწმუნებულ-გუბერნატორი, ბატონი გივი ჭიჭინაძე პოლონეთის დელეგაციის წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრის ფორმატი პროექტის პრეზენტაციას მოიცავდა, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების და მოზარდების საგანმანათლებლო მეთოდებისა და თანამედროვე პროგრამების მიწოდებას ითვალისწინებს. ეს კეთილშობილური წამოწყება დაფინანსებულია პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს დახმარებისა და თანამშრომლობის განვითარების პროგრამის ფარგლებში. მსგავს პროექტს პოლონეთის სახელმწიფო პირველად ახორციელებს საქართველოში და კერძოდ ზესტაფონში. დაგეგმილია ცენტრის ფუნქციონირების გაზრდა, სარეაბილიტაციო, საგანმანათლებლო და საინტეგრაციო პროგრამების განხორციელება, რომელიც ამავდროულად გაცვლით პროგრამებსა და სტაჟირების კურსს ითვალისწინებს პოლონეთში, რომლის თანახმად მოხდება ინდივიდუალური სასწავლო პროგრამების შემუშავება. პროექტში აქტიურადაა ჩართული ჩვენი ადგილობრივი თვითმმართველობაც, რომელმაც სარეაბილიტაციო ცენტრისთვის დამატებითი ფართის გამოყოფაზე იზრუნა.

— ბატონო ტარიელ, სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?

— ჩემთვის ყოველთვის ახლობელი იქნება ის ტკივილი თუ სიხარული, რომელსაც ზესტაფონის მოსახლეობა განიცდის. წელს რამდენიმე ახალი პროექტის განხორციელებას ვგეგმავთ და ყველაფერს გავაკეთებთ ხალხის კეთილდღეობისთვის. წავახალისებთ კერძო მეწარმეობას, რაც ადგილობრივ ბიზნესში ინვესტიციების ჩადებასა და სამუშაო ადგილების შექმნაში აისახება. წლის ბოლომდე დაგეგმილია პლასტმასის მწარმოებელი ქარხნის მშენებლობა, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმდება. პერსპექტივაში გვაქვს, სამკერვალო ფაბრიკის ექსპლუატაციაში გაშვება, რაც, ასევე, უზრუნველყოფს დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას. იმედს ვიტოვებთ, რომ 2015 წელი ბევრად უკეთესი და წარმატებული იქნება, როგორც რაიონის, ისე მთელი ქვეყნისთვის. კარგად გვესმის, რომ ამას თავდაუზოგავი შრომა და დიდი მოთმინება სჭირდება, მაგრამ ამისთვის მზად ვართ.

კავკასენერგორემონტი

საქართველო, ქ. გარდაბანი, აღმაშენებლის 6/52,

შპს „კავკასენერგორემონტი“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ენერგომოწყობილობათა სამონტაჟო სარემონტო სამუშაოების შესრულება და სხვადასხვა სარემონტო-სამშენებლო სამუშაოები, ასევე ენერგოსისტემების მომარაგება სპეციალიზირებული ხელსაწყოებითა და დანადგარებით.

სტრუქტურულად საზოგადოება წარმოადგენს მრავალდარგოვან ფირმას, გააჩნია ლიცენზიები ზემოთ ჩამოთვლილი სამუშაოების შესასრულებლად სათანადო მოწყობილობა-დანადგარების საშუალებით.

დაკომპლექტებულია დიდი გამოცდილებისა და უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე ინჟინერ-ტექნიკური პერსონალით.

ორგანიზაციას აქვს მექანიკური საამქრო:

შპს „კავკასენერგორემონტს“ შესრულებული აქვს შემდეგი სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები:

- თბილსრესის მე-9 ენ. ბლოკთან არსებული კონდენსატის დამხმარე 20000 ტნ. ლითონის რეზერვუარების ანტიკოროზიული დამუშავება და შეღებვა;
- თბილსრესის წყლის გამწმენდი ბადეთა საკანის აღდგენითი-სარემონტო სამუშაოები;
- სატუმბო სადგურის პოლიოგრილომიდის სათავსოს შეკეთება და მოწყობა;
- თბილსრესის მაგისტრალური არხის ბეტონის ზედაპირის აღდგენა-მოპირკეთება;
- ქ. გარდაბნის ცენტრალური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიაზე მოედნის მოპირკეთება და სანიაღვრე მილგაყვანილობის მონტაჟი;
- ქ. გარდაბნის განათლების განყოფილების შენობის მეორე სართულის სარემონტო სამუშაოები;
- შპს „მტკვარი ენერგეტიკის“ №9 ბლოკის ტურბინის საშუალო რემონტი, საშუალო სიმძლავრის ცილინდრის გახსნით;
- შპს „მტკვარი ენერგეტიკის“ №9 ბლოკის ქვაბის შირმული ორთქლგამახურებლების დამზადება და დამონტაჟება;
- შპს „მტკვარი ენერგეტიკის“ №9 ბლოკის მკვებავი ტურბონასოსის რემონტი;
- შპს „მტკვარი ენერგეტიკა“- საკვამლე მილის **«H175»**. რემონტი.
- შპს „მტკვარი ენერგეტიკა“- სანასოსე სადგურის, სიმძლავრით 2500 მ3/სთ, დაპროექტება.

KAVKAZENERGOREMONT



ორგანიზაციას სხვადასხვა ქვეყნიდან, შემოაქვს თბოელექტრო სადგურებისათვის სპეციალიზი რებული დეტალები და მოწყობილობები

ერძოდ:

რუსეთი - ჩეხოვის - **ЧЗЭМ**, ბარნაულის - **ОАО БКЗ**, ტაგანროგის- **ОАО КРАНЫЙ КОТЕЛЬЩИК**, პენზის არმატურის ქარხანა - **ПЕНЗЕНСКИЙ АРМАТУРНЫЙ ЗАВОД**, სანკტ პეტერბურგი რეზინატექნიკურის ნაწარმი - **ЗАВОД АТИ**, ელექტროდები - **ЭЛЕКТРОДНЫЙ ЗАВОД (ЗАО (ЭЛЗ)**

ტურბინისა და გენერატორის სათადარიგო ნაწილები - **«УКРТЕХНОСИНТЕЗ» – УКРАЙНКО БЕЛОРУССКОЕ СОВМЕСТНОЕ ПРОИЗВОДСТВО**

გერმანია - **DRAEGER, SIEMENS, TESTO, ABB** - საკონტროლო მზომი ხელსაწყოები და ელექტრო დანადგარები

უკრაინა - მეტალურგიული ქარხანა - **P.M.PIPE& METAL CO LTD, ОАО \"Полтавский турбомеханический завод\".**

ნიკოპოლის მეტალურგიული ქარხანა - **STEELPROM,**

სუმის სატუმბო ქარხანა - **АО \"Сумский завод \"Насосэнергомаш\".**

ყაზახეთი - **Endress + Hauser I.I. CASC** - მზომი ხელსაწყოები

იტალია - **TARTARINI** - გაზის რეგულატორი

პოლონეთი - **Paroc Group** - საიზოლაციო ბამბა,

ესტონეთი - **ПО Франсермакс** - გაზოანალიზატორები.

ჰოლანდია - **TECO** - სავალცავი ნაწილები,

აშშ - **EMERSON** - მრავალარხიანი ტემპერატურის მზომი ხელსაწყო.

დირექტორი: ზაქარია ისკანდაროვი.
მობ. +995 599 10 68 61; ტელ/ფაქსი. +372 22 34 72

მედიატური კახეთში

19-20 აპრილს, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საზოგადოების მაღალი ინტერესის გათვალისწინებით, განხორციელებული პროექტების ფარგლებში დაფინანსებული ახალი საწარმოების მოსანახულებლად, კახეთის რეგიონში მედიატური გამართა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროში ჟურნალისტებმა კახეთში დაფინანსებული 42 ახალი საწარმოდან, ლოტოტრონის პრინციპით, თავად შეარჩიეს მოსანახულებელი საწარმოები.

მედიატურის ფარგლებში ჟურნალისტებმა კახეთში, საგარეჯოს რაიონის სოფელ ნინოწმინდაში მდებარე შპს „ნინოწმინდა1“ დაათვალიერეს. შეღავათიანი აგროკრედიტის ფარგლებში გაცემული 250 000 აშშ დოლარის სესხით მეფრინველეობის ფერმა აშენდა. ასევე გურჯაანში შპს „ქართული ხილის“ კომპანიაშიც იმყოფებოდნენ. ეს არის ხილის გადამამუშავებელი საწარმო, სადაც წლიურად 200 ტონა ხილის შენახვა არის შესაძლებელი.

მედიატურის ფარგლებში ჟურნალისტებმა მოინახულეს: ყვარელში შპს „შალოშვილის მარანი“- შალოშვილის მარანი შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში მიღებული 200 000 აშშ დოლარის კრედიტით დაფინანსდა.

გურჯაანში, შპს „პროფესიონალური მეღვინეობის პროდუქტები“-შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში აღებული 600 000 აშშ დოლარის დახმარებით ღვინის საწარმო აშენდა. სოფელ ველისციხეში შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა“ - შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში აღებული 600 000 აშშ დოლარის დახმარებით ღვინის საწარმო აშენდა.

მედიატური დაფინანსდა სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) „სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პროექტის (ASP)“ ფარგლებში. IFAD-ის მიერ დაფინანსებული „სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პროექტის (ASP)“ ფარგლებში საქართველოში განხორციელდა: 15 სასოფლო-სალიზინგო პროექტი, სულ IFAD-ის პროექტის თანამონაწილეობა შეადგენს 1,652,845.46 აშშ დოლარს.



სისხლის ბანკი - ნატალი კვანტალიანის „ღვთიური საქმე“

საქართველოში, სისხლის ჩაბარების უამრავი პუნქტია, მაგრამ ,,ნატალია კვანტალიანის სახელობის სისხლის ცენტრალური ბანკის"მთავარი ღირსება, გარდა იმისა, რომ 82-წლიანი ისტორია აქვს, მისი დევიზია - ,,სისხლი ყველას"! არიან ადამიანები, რომლებიც სისხლს გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ აბარებენ, თუმცა ბოლო დროს უანგარო დონორთა რაოდენობა თვალშისაცემად იზრდება და ამას „ნატალია კვანტალიანის სახელობის სისხლის ცენტრალური ბანკის“ სტატისტიკაც მოწმობს. მაგალითად, თუკი ბანკს 2009 წელს 7781 დონორი ჰყავდა, ეს რიცხვი დღეს გაორმაგებულია და დონორთა რაოდენობა 15 ათასს აჭარბებს, რაც ბუნებრივია, საქართველოში ISO სერტიფიკატის მქონე სისხლის ცენტრალური ბანკის'ხელმძღვანელის, ქალბატონი ნატალი კვანტალიანისა და მისი პროფესიონალი გუნდის დამსახურებაა.

— ქალბატონო ნატალი, რამ განაპირობა სისხლის ბანკით თქვენი დაინტერესება?

— წლების წინ, დედას ანევრიზმა გაუსკდა და საავადმყოფოში რამდენიმე თვე ვიწექით. იმ მძიმე დღეების განმავლობაში ვფიქრობდი, ტაძარი ამეშენებინა ან ჯანდაცვასთან დაკავშირებული რაიმე კეთილი საქმე წამომეწყო. იყო კიდევ ერთი მიზეზი — 18 წლისას, სამტრედიის რაიონში, ექიმმა სისხლის გათეთრების დიაგნოზი დამისვა, რომელიც საბედნიეროდ, არ გამართლდა და მაშინ პირველად ვიფიქრე, ჯანმრთელობის პრობლემების შექმნისას რაოდენ მნიშვნელოვანია სწორი დიაგნოზის დასმა. წლების შემდეგ, უკვე ბიზნესში გზაგაკვალულმა, გადავწყვიტე ისეთი საქმისთვის მომეკიდა ხელი, რომელიც ადამიანებს ცხოვრებას გაუადვილებდა. მინდა, ხალხს ჰქონდეთ გარანტია, რომ ექიმები ზუსტ დიაგნოზს დაუსვამენ. სწორედ ამიტომ დავინტერესდი ჯანდაცვის სფეროთი და სისხლის ბანკსაც ამიტომ ვხელმძღვანელობ, თორემ, ეს საქმე, ბიზნესის თვალსაზრისით, მომგებიანი არაა. ეს, უბრალოდ, ღვთიური საქმეა.

„ბევრი პოზიტივი,დადებითი ემოცია და, რაც მთავარია ქველმოქმედების სურვილი - ჩვენი სისხლის ბანკის კონცეფციაა. ხვალ, ზეგ, ან სულაც, შეიძლება, ახლავე გადაწყვიტოთ, რომ უანგარო დონორი გახდეთ და სიკვდილ-სიცოცხლის გასაყართან მდგარ უცნობ ადამიანს დაეხმაროთ! „ნატალია კვანტალიანის ცენტრალური სისხლის ბანკის“ მიზანიც ესაა,რომ დაეხმაროს ყველას ვისი სიცოცხლეც საფრთხეშია!

— თქვენი უანგარობა მართლაც დასაფასებელია...

— როდესაც ერთმა წვეთმა სისხლმა ადამიანი შეიძლება სიკვდილისგან იხსნას, ამ დროს ფულზე ლაპარაკი, უბრალოდ უზნეობაა! ყველა საჭირო გამოკვლევა, რომელიც დონორს ან დონაციის მსურველს უტარდება, ,,ნატალია კვანტალიანის სახელობის სისხლის ცენტრალურ ბანკში“ — უფასოა. ვინმემ, შეიძლება, გადაჭარბებულად ჩამითვალოს, მაგრამ თუკი ჩვენთან ერთხელ მაინც მოხვდებით, დარწმუნდებით, რომ აქაურობა მართლაც ზნეობისა და კეთილშობილების ოაზისია. პროფესიონალები თავიანთ საქმეს უხმაუროდ აკეთებენ და მათი მუშაობის შედეგად, ჩვენი დაწესებულება, დღეს საქართველოში ყველაზე დიდი სისხლის ბანკია დონორთა რაოდენობით და საქართველოს მასშტაბით ყველა კლინიკას ამარაგებს.

- თანამშრომლებთან როგორი დამოკიდებულება გაქვთ?

- ჩვენს სისხლის ბანკში სტუმრობისას, თანამშრომლების ურთიერთდამოკიდებულება სასიამოვნოდ გაგაკვირვებთ. ყველა მათგანი ჩემი მეგობარია. სწორედ ჩემი გუნდის დამსახურებაა, ამხელა საქმე ასე მოკლე დროში რომ ავაწყვე და დღემდე ვავითარებ. მათი თანადგომით, მინდა, მაქსიმალურად ყველაფერი გავაკეთო, რაც ჩემს ხალხსა და ქვეყანას დაეხმარება. საქართველოში, სისხლის დეფიციტის გამო, ადამიანების სიცოცხლეს საფრთხე აღარასოდეს უნდა ექმნებოდეს. მერწმუნეთ, იმაზე დიდი ბედნიერება არაფერია, როცა ადამიანი სიკვდილს დაამარცხებს და იცი, ამ ბრძოლაში გარკვეული წვლილი შენც მიგიძღვის.

გესალმებათ საქართველოში პირველი დაუსრულებელი დღესასწაულის ტერიტორია BoomBoom!



BoomBoom - ეს არის ფართო, ულტრა-თანამედროვე კომპლექსი, საქართველოში ყველაზე დიდი და უნიკალური ლაბირინთით, საბავშვო სათამაშო ზონით „handsfree“ (საშუალება, დატოვოთ თქვენი ბავშვი ჩვენი თანამშრომლების ყურადღების ქვეშ), ატრაქციონებითა და სათამაშო პარკებით, რომელიც ნებისმიერ გემოვნებასა და ასაკს დააკმაყოფილებს!

ატრაქციონებისა და სათამაშო აპარატების გარდა დაუსრულებელი დღესასწაულის ტერიტორია **BoomBoom** გთავაზობთ 2 სადღესასწაულო დარბაზს უნიკალური დიზაინით, სადაც ჩვენს სტუმრებს ეძლევათ საშუალება მოაწყონ ნებისმიერი დღესასწაული და, რა თქმა უნდა, გადაიხადონ დაბადების დღეებიც. ყველაზე გემრიელ შთაბეჭდილებას გაჩუქებთ ჩვენი კუთვნილი „**BoomBoom**-კაფე“, სადაც ორიგინალური კერძებია მშობლებისთვისა და ჩვენი პატარა სტუმრებისთვის. ჩვენი დაუსრულებელი დღესასწაულის ტერიტორიის **BoomBoom**-ის მთავარი ნიშანია ყველაზე შემოქმედებითი სადღესასწაულო სტუდია განსაკუთრებული, სხვადასხვა თემატიკის შოუ-კლასებით, შემეცნებითი თამაშებითა და სანახაობრივი კონკურსებით. განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ უსაფრთხოებას, შესაბამისად ცენტრი აღჭურვილია თანამედროვე, უსაფრთხო და მაღალტექნოლოგიური გასართობებით მთელი ოჯახისთვის.

თქვენი ბავშვები ერთობიან და ვითარდებიან იმ დროს, როცა თქვენ ისვენებთ!

ჩვენი მთავარი დირექტორია - თქვენი იმჭარტების პედიტრიკა, **BoomBoom**-ში ეს ერის პედიტრიკა და მისი ტარდა ნებისმიერის შეუძლია!

კარბონის დათბუნების სისტემა

თბილი. დამაზი. მეღეგი.